

შპს „მოდი მოდი მოდი“

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული
წლისათვის

თბილისი

2022

შპს „მოდო მოდო მოდო“

შინაარსი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
3. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	12
4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	12
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13
6. ფინანსური აქტივები	13
7. გადავადებული საგადასახადო აქტივები	13
8. გრძელვადიანი ინვესტიციები	13
9. ძირითადი საშუალებები	14
10. არამატერიალური აქტივები	15
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
12. მიღებული ავანსები	16
13. ფინანსური ვალდებულებები	16
14. მიმდინარე საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	17
15. სხვა სრული შემოსავალი	17
16. შემოსავალი მომსახურებიდან	17
17. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	17
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18
19. კომერციული ხარჯები	18
20. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	18
21. მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან	19
22. პირობითი ვალდებულებები	19
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	20
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	20
25. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი	20

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი			
სახსრების ექვივალენტები	4	112,284	1,410,235
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	636,248	1,269,162
გაცემული ავანსები		63,000	28,073
ფინანსური აქტივები	6	425,175	2,962
გადავადებული საგადასახადო აქტივები	7	86,802	-
მიმდინარე საგადასახადო აქტივები	14	40,882	-
მარაგები		2,321	3,343
სულ მიმდინარე აქტივები		1,366,713	2,713,775
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები	8	117,068	-
ძირითადი საშუალებები	9	712,727	685,107
არამატერიალური აქტივები	10	1,801	2,119
სულ გრძელვადიანი აქტივები		831,596	687,225
სულ აქტივები		2,198,310	3,401,001
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	282,181	1,256,233
მიღებული ავანსები	12	169,962	97,868
ფინანსური ვალდებულებები	13	176,721	39,618
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	14	-	265,984
სულ მიმდინარე ვალდებულებები		628,864	1,659,703
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური ვალდებულებები	13	371,119	468,100
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		371,119	468,100
სულ ვალდებულებები		999,983	2,127,803
საკუთარი კაპიტალი			
სხვა სრული შემოსავალი	15	-	44,048
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		1,198,327	1,229,150
სულ საკუთარი კაპიტალი		1,198,327	1,273,198
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,198,310	3,401,001

ლ. ჯაფარიძე

ლაშა ჯოჯორია

დირექტორი


30.09.2022

კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი მომსახურებიდან	16	8,718,006	6,277,716
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	17	(6,447,156)	(4,133,499)
		2,270,850	2,144,217
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(1,499,314)	(665,315)
კომერციული ხარჯები	19	(281,197)	(116,963)
ფინანსური დანახარჯები	13	(27,264)	(3,944)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	20	258,389	11,005
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		207,583	(239,411)
მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან	21	(119,264)	54,102
მოგება დაბეგვრამდე		809,783	1,183,690
მოგების გადასახადის ხარჯი		(129,640)	(127,901)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		680,143	1,055,789
სხვა სრული შემოსავალი	15	(15,549)	44,048
სულ მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		664,594	1,099,837



ლაშა წოწორია

დირექტორი


30.09.2022

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	გაუნაწილებელი მოგება	სხვა სრული შემოსავალი	სულ საკუთარი კაპიტალი	მათ შორის არამაკ. წილი
31.12.2019	186,156	-	186,156	21,264
არამაკ. წილის შემცირება	-	-	-	(21,264)
პერიოდის მოგება/(ზარალი)	1,055,789	44,048	1,099,837	-
დივიდენდის გაცემა	(12,796)	-	(12,796)	-
31.12.2020	1,229,149	44,048	1,273,197	-
	-	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	680,143	(15,549)	664,594	-
დივიდენდის გაცემა	(739,464)	-	(739,464)	-
31.12.2021	1,169,828	28,499	1,198,327	-


 ლაშა წოწორია
 დირექტორი
 30.09.2022

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილში მოცემულია ლარში)

	2021	2020
მოგება დაბეგვრამდე	794,233	1,227,738
კორექტირება:		
ცვეთა და ამორტიზაცია	23,585	10,052
წმინდა (მოგება)/ზარალი საკუროს სხვაობიდან	119,264	(54,102)
მოგება ინვესტიციების გაყიდვიდან	(52,248)	-
ფინანსური შემოსავალი	(411,687)	231,175
ფინანსური ხარჯი	27,264	3,944
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	500,411	1,418,807
საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	901,703	(1,544,909)
მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(1,105,378)	1,512,902
ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	1,022	(3,343)
მარაგების (ზრდა)/შემცირება	(393,668)	142,697
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(596,321)	107,346
სულ ფულადი ნაკადების ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(129,640)	(9,407)
გადახდილი მოგების გადასახადი	22,326	2,962
მიღებული საპროცენტო სარგებელი	(27,264)	(3,944)
გადახდილი ფინანსური ხარჯი	155,224	-
მიღებული დივიდენდები	(739,464)	(12,796)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(814,728)	1,502,969
ძირითადი საშუალებების შეძენა	(50,887)	(656,080)
სესხის გაცემა	(821,172)	(2,962)
გაცემული სესხის დაბრუნება	302,233	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(569,826)	(659,042)
სესხის აღება	206,595	485,965
სესხის დაფარვა	(72,860)	(6,987)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	133,735	478,978
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	(1,250,819)	1,322,905
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკუროს სხვაობის ეფექტი	(47,131)	16,860
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	1,410,235	70,471
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	112,285	1,410,235



ლაშა წოწორია
დირექტორი
30.09.2022

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მოდო მოდი მოდი“ (ს/ნ 435433620) (შემდგომში „კომპანია“ და მის შვილობილ კომპანიებთან ერთად შემდგომში “ჯგუფი”) შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. მარტვილი, 9 აპრილის ქუჩა, N2, ბინა 4. კომპანიის ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორი, ცუცხვათის ქ 27. კომპანიის 100% წილის მესაკუთრე და დირექტორია ლაშა წოწორია (პ/ნ 29001039301).

შპს „მოდო მოდი მოდი“ 2021 წლის 5 ნოემბრამდე ფლობდა 100% (5 ნოემბრიდან 50%) წილს შპს „დრაგონფლიპ მარკეტფლეისში“ (ს/ნ 405342856), რომელიც თავის მხრივ არის დამფუძნებელი და ფლობს 100% წილს გერმანული კომპანია Dragonflip GmbH-ში.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა იურიდიული და მეწამე ფიზიკური პირებისათვის ფრილანსერების მიერ შესრულებული სამუშაოს მიწოდება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ბიზნესისა და მართვის სხვა საკითხებში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების და შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ჯგუფის მფლობელებსა და მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითარონ ჯგუფის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისათვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის ანგარიშგება 2021 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

ჯგუფი ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს ევროში და ხარჯავს გერმანიასა და საქართველოში ევროსა და ლარში. ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების უმრავლესობაც ევროშია წარმოდგენილი. შესაბამისად, ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ევრო. თუმცა მშობელი კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ლარში. ხოლო შვილობილი კომპანია ევროში. ჯგუფი სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ წარსადგენ ვალუტას იმიტომ იყენებს, რომ მისი აზრით, ეს ვალუტა უფრო აქტუალურ და სათანადო ინფორმაციას აწვდის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს, რადგან ანგარიშგების დროს ქართული ლარის წარსადგენ ვალუტად გამოყენება ქართულ კომპანიებს შორის გავრცელებული პრაქტიკაა.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

უცხოური ვალუტის ფულადი ნაშთის კონვერტაციისათვის გამოყენებული ძირითადი გაცვლითი კურსი არის შემდეგი:

	31.12.2021	31.12.2020
1 USD / GEL	3.0976	3.2766
1 EUR / GEL	3.5040	4.0233
საშ. 1 EUR / GEL	3.8140	3.5519

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

შვილობილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც - მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული ნამეტი შემოსავალი და ზარალი, და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

შვილობილი კომპანიის აქტივები და ვალდებულებები ჯგუფის ანგარიშგებაში ასახულია წლის ბოლოს არსებული ეროვნული ბანკის კურსით. ხოლო პერიოდის შემოსავლები და ხარჯები წლის საშუალო კურსით. უცხოური საწარმოს წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის შედეგად მიღებული სხვაობა ჯგუფის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

კაპიტალში აღირიცხება, როგორც სხვა სრული შემოსავალი, რომლის რეკლასიფიკაციაც მოგება-ზარალში არ ხორციელდება.

ამონაგების აღიარება

ჯგუფის ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

გაცემული სესხები

გაცემულ სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება მისაღები ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, თუ შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას არ წარმოადგენს.

სავაჭრო ვალდებულებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში მიღებული საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამ-დე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგეო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგეო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგეო პერიოდის ბოლოსთვის.

მოგების გადასახადი

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგეო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შვილობილი კომპანიის გადასახადებით დაბეგრა ხორციელდება გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ბიზნესის წარმოების ნორმალური მიმდინარეობისას, ჯგუფი ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას გარიგების ფასით, თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). განსჯა გამოიყენება იმის განსასაზღვრად, ოპერაციების ფასწარმოქმნა დამყარებულია თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებზე, მაშინ, როდესაც არ არსებობს მსგავსი ოპერაციებისთვის აქტიური ბაზარი. განსჯის საფუძველი არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასწარმოქმნა და საპროცენტო განაკვეთის ანალიზია.

4. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	31.12.2021	31.12.2020
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	22,734	333
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	43,373	23,500
უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში	46,177	1,328,576
მოკლევადიანი ინვესტიციები	-	57,825
სულ	112,284	1,410,234

ჯგუფის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	631,739	1,269,162
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	4,510	
სულ	636,248	1,269,162

ჯგუფის დებიტორებს წარმოადგენენ როგორც იურიდიული აგრეთვე მეწარმე ფიზიკური პირები.

6. ფინანსური აქტივები

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	420,480	-
მისაღები პროცენტები	4,695	2,962
სულ	425,175	2,962

კომპანიას მოკლევადიანი სესხი გაცემული აქვს მეკავშირე კომპანიაზე. სესხზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 5 პროცენტს.

7. გადავადებული საგადასახადო აქტივები

	31.12.2021	31.12.2020
გადავადებული საგადასახადო აქტივები	86,802	-
სულ	86,802	-

კომპანიის გადავადებული საგადასახადო აქტივი წარმოქმნილია გაცემულ სესხებზე (491,880 ლარი) გადახდილი მოგების გადასახადისაგან, რომლის უკან დაბრუნების შემთხვევაშიც კომპანია მოახერხებს აღნიშნული გადახდილი გადასახადის უკან დაბრუნებას. მიმდინარე საანგარიშგებო წელს კომპანიას ჰქონდა მსგავსი შემთხვევები როდესაც სესხის დაბრუნებასთან ერთად დაიბრუნდა გადახდილი მოგების გადასახადიც. ამიტომ კომპანია მიმდინარე პერიოდის ხარჯად არ აღრიცხავს გაცემულ სესხებზე საგადასახადო კანონმდებლობით დარიცხულ და გადახდილ მოგების გადასახადს.

8. გრძელვადიანი ინვესტიციები

	31.12.2021	31.12.2020
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	117,068	-
სულ	117,068	234,137

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

9. ძირითადი საშუალებები

	უძრავი ქონება	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>					
დეკემბერი 31, 2019	-	2,074	27,378	12,619	42,071
მატება	627,354	3,216	26,685	300	657,556
კლება	-	-	(1,609)	-	(1,609)
დეკემბერი 31, 2020	627,354	5,291	52,454	12,919	698,017
მატება	21,942	181	21,846	6,919	50,887
კლება	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	649,296	5,472	74,299	19,837	748,904
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>					
დეკემბერი 31, 2019	-	(180)	(1,938)	(874)	(2,992)
მიმდინარე წლის ცვეთა	(2,750)	(611)	(5,191)	(1,501)	(10,052)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	134	-	134
დეკემბერი 31, 2020	(2,750)	(791)	(6,995)	(2,374)	(12,910)
მიმდინარე წლის ცვეთა	(12,583)	(668)	(8,051)	(1,965)	(23,267)
ცვეთის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-	-	-	-
დეკემბერი 31, 2021	(15,333)	(1,459)	(15,046)	(4,339)	(36,177)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>					-
დეკემბერი 31, 2019	-	1,895	25,440	11,745	39,079
დეკემბერი 31, 2020	624,604	4,500	45,459	10,545	685,107
დეკემბერი 31, 2021	633,963	4,013	59,254	15,498	712,727

კომპანიის უძრავი ქონება ბანკში იპოთეკით არის დატვირთული.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

10. არამატერიალური აქტივები

	საბუღალტრო პროგრამა	სულ
<i>საბალანსო ღირებულება</i>		
დეკემბერი 31, 2019	2,119	2,119
მატება / (კლება)	-	-
დეკემბერი 31, 2020	2,119	2,119
მატება / (კლება)	-	-
დეკემბერი 31, 2021	2,119	2,119
<i>დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება</i>		
დეკემბერი 31, 2019	-	-
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	-	-
ამორტიზაციის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-
დეკემბერი 31, 2020	-	-
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	(318)	(318)
ამორტიზაციის ამობრუნება გასხვისებაზე	-	-
დეკემბერი 31, 2021	(318)	(318)
<i>ნარჩენი ღირებულება</i>		
დეკემბერი 31, 2019	2,119	2,119
დეკემბერი 31, 2020	2,119	2,119
დეკემბერი 31, 2021	1,801	1,801

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	-	1,248,605
ვალდებულებები პერსონალის წინაშე	49,978	6,594
სხვა ვალდებულებები	232,203	1,035
სულ	282,181	1,256,233

12. მიღებული ავანსები

	31.12.2021	31.12.2020
მიღებული ავანსები	169,962	97,868
სულ	169,962	97,868

მიღებული ავანსები წარმოადგენს კომპანიისათვის კლიენტების მიერ უცხოურ ვალუტაში წინასწარ გადმორიცხულ თანხებს. მიღებული ავანსები არაფულადი ვალდებულებებია და აღრიცხულია ოპერაციის თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის კურსით ლარში, რომლის გადაფასებაც არ ხორციელდება.

13. ფინანსური ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
მიღებული მოკლევადიანი სესხები	140,160	-
მიღებული გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	36,561	39,618
მიღებული გრძელვადიანი სესხი	371,119	468,100
სულ	547,841	507,718

	2021	2020
საპროცენტო ხარჯები	27,264	3,944
სულ	27,264	3,944

კომპანიას მოკლევადიანი სესხი მიღებული აქვს მეკავშირე საწარმოსაგან. სესხზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 5 პროცენტს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

14. მიმდინარე საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)

	31.12.2021	31.12.2020
მიმდინარე საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები)	40,882	(265,984)
სულ	40,882	(265,984)

ჯგუფის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება შეადგენს ქართული და გერმანული კანონმდებლობის შესაბამისად დარიცხულ და გადაუხდელ გადასახადებს.

15. სხვა სრული შემოსავალი

	31.12.2021	31.12.2020
სხვა სრული შემოსავალი	-	44,048
სულ	-	44,048

სხვა სრული შემოსავალი მიღებულია უცხოური შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარსადგენ ვალუტაში გადაყვანის შედეგად.

16. შემოსავალი მომსახურებიდან

	2021	2020
შემოსავალი მომსახურებიდან	8,718,006	6,277,716
სულ	8,718,006	6,277,716

შემოსავალი მომსახურებიდან წარმოადგენს იურიდიული და მეწამე ფიზიკური პირებისათვის ფრილანსერების მიერ შესრულებული სამუშაოს მიწოდებასა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევას ბიზნესისა და მართვის სხვა საკითხებში. შემოსავლები ძირითადად მიიღება ევროში.

17. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2021	2020
შემენილი მომსახურების ხარჯი	6,447,156	4,133,499
სულ	6,447,156	4,133,499

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

შემენილი მომსახურების ხარჯი წარმოადგენს ფრილანსერებისა და სხვა მომსახურების მომწოდებლების მიერ გაწეული მომსახურების ხარჯს.

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
ხელფასის ხარჯი	899,156	353,408
გარე მომსახურების ხარჯი	196,246	72,812
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	134,612	47,627
ლიცენზიების ხარჯი	48,021	39,293
იჯარის ხარჯი	38,638	27,632
ტრანსპორტის ხარჯი	25,268	11,277
სააღრიცხვო ხარჯი	22,504	10,864
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	23,585	10,052
დაზღვევის ხარჯი	-	1,257
მარაგის ხარჯი	-	6,313
საკომუნიკაციო ხარჯები	5,080	8,080
ოფისის ხარჯი	5,729	7,410
ტრენინგის ხარჯი	4,652	3,786
საბანკო ხარჯები	51,115	8,592
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,350	2,944
ქონების გადასახადის ხარჯი	6,989	3,621
სხვა საოპერაციო ხარჯები	35,369	50,346
სულ	1,499,314	665,315

19. კომერციული ხარჯები

	2021	2020
რეკლამისა და მგზავრობის ხარჯი	281,197	59,132
მიწოდების ხარჯი	-	57,832
სულ	281,197	116,963

20. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

	2021	2020
საპროცენტო შემოსავალი	41,637	2,962
შემოსავალი დივიდენდებიდან	155,224	-
მოგება ინვესტიციების გაყიდვიდან	52,248	-
სხვა შემოსავალი	9,280	8,043
სულ	258,389	11,005

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

21. მოგება-ზარალი სავალუტო კურსის ცვლილებიდან

	2021	2020
კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(47,131)	16,860
კურსის ცვლილების გავლენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე	(61,404)	99,595
კურსის ცვლილების გავლენა ფინანსურ აქტივებზე	(96,726)	-
კურსის ცვლილების გავლენა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე	(7,614)	(33,613)
კურსის ცვლილების გავლენა ფინანსურ ვალდებულებებზე	93,613	(28,740)
სულ	(119,263)	54,102

22. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას, გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის (ლარში)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული დაუფარავი ნაშთები:

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები აქციონერის წინაშე	4,510	-
ვალდებულებები აქციონერის წინაშე	514	6,161
მეკვაშირე კომპანიაზე გაცემული სესხი	175,200	-
მეკვაშირე კომპანიიდან მიღებული სესხი	140,160	-

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ოპერაციები:

	2021	2020
აქციონერზე გაცემული ხელფასი	10,627	-
აქციონერისგან მიღებული პროცენტი	11,296	-

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

25. ანგარიშგების დამტკიცების თარიღი

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ გამოსაშვებად დაამტკიცა 2022 წლის 30 სექტემბერს.